ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3175539

ნომერი: AR1483155

თარიღი : 02.03.2017

გაცემის თარიღი : 30.03.2017

გაცნობის თარიღი : 31.03.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

რუსტაველის გამზირის #36-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნანა პაპასკირი პ/ნ 62004006575
- გულრიფში დ. აგუძერა 300

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი 02/03/2017 წ. AR1483155 განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში,

რუსთაველის გამზ. N38 მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე ღია სეზონური კაფის მოწყობის მიზნით, წერილობითი ნებართვის გაცემას, პასუხად გაცნობებთ:

ვინაიდან წარმოდგენილი ტერიტორია მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში, წარმოდგენილი ესკიზი განხილულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს მიერ (დოკუმენტი №3162133) მათი გადაწყვეტილების შესაბამისად მიეცა უარყოფითი შეფასება ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, რუსთაველის გამზ. N38 –ის მიმდებარედ ღია სეზონური საზაფხულო კაფეს მოწყობის წარმოდგენილ ვარიანტს –შემდეგი რეკომენდაციით: უარი ეთქვას ქ. თბილისში, შოთა რუსთაველის გამზ. N38-ის მიმდებარედ ღია კაფეს მოწყობის წარმოდგენილ ვარიანტს. რეკომენდაცია: შესაძლებელია მსუბუქი სახის მაგიდებისა და სკამების განთავსება საჩრდილობლების გარეშე საკითხის ხელახლა განხილვის მიზნით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში საჭიროა წარმოადგინოთ არსებული სიტუაციის გეგმა და ფოტომონტაჟი ზემოთ აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.